საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 29 მარტის

დადგენილება №2371

სტუ-ის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრთა
შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს წევრთა შერჩევის შემდეგი კრიტერიუმები:

- დარგის/სპეციალობის მაღალი რანგის ცნობილი მეცნიერი;
- მონაცემები დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის შესახებ, დარგის/სპეციალობის მითითებით;
- მონაცემები პუბლიკაციების შესახებ, მათ შორის მონოგრაფიები რეიტინგულ გამოცემებში უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში;
- პატენტები, დანერგვები, საერთაშორისო და ადგილობრივი პროექტები, მათ შორის სხვადასხვა გრანტებში მონაწილეობა;
- საბჭოს წევრს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 3 მეცნიერული ნაშრომი სადისერტაციო საბჭოში წარმოდგენილ სპეციალობაში;

2. კენჭისყრა აკადემიურ საბჭოზე ჩატარდება ფარულად;

3. კანდიდატს კენჭისყრაზე კანდიდატურის ხელმეორედ დაყენების უფლება არ ეძლევა.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე